ოქმი:**ო31.31220631**
თარიღი:**04/03/2022**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე ბიუროს სხდომის

ოქმი №3

ქ. ლანჩხუთი

01. 03. 2022 წელი

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ემზარ თევდორაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები ვერიკო კვირკველია და გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე გიორგი გოგუაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე მაკა მშვიდობაძე, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ცირა ბზეკალავა.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვლეობის შემსრულებელმა **ემზარ თევდორაძემ** აღნიშნა, რომ გმობენ რუსეთის მხრიდან განხორციელებულ ამ დიდ აგრესიას, სოლიდარობას და თანადგომას უცხადებენ მოძმე გმირ უკრაინელ ხალხს. უსურვა

მათ მშვიდობა და იმედი გამოთქვა, რომ უახლოეს პერიოდში დასრულდება ეს საშინელი და უსამართლო ომი.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვლეობის შემსრულებელმა **ემზარ თევდორაძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 აგვისტოს N35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის თარიღის შესახებ.

საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 2 მარტი 12:00 საათი.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 7 წევრი.

მომხრე ბიუროს 7 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 აგვისტოს N35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ.** მან განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის წესი “- ს მე-2 მუხლს ემატება შემდეგი შინაარსის „ვ“ ქვეპუნქტი:

„ვ) სხვა ისეთი ხარჯები, რომელთა დაფინანსება არ არის გათვალისწინებული ადგილობრივი ბიუჯეტით და რომელიც კანონით აკრძალული არ არის.“

დადგენილების მე-2 მუხლით განსაზღვრული სარეზერვო ფონდიდან დასაფინანსებელი ღონისძიებების ჩამონათვალი რიგ შემთხვევებში არ ითვალისწინებს საზოგადოებრივი საჭიროებებიდან გამომდინარე აუცილებლად გასაწევი ხარჯების დაფინანსების შესაძლებლობას.

სხდომას შემოუერთდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ჩახვაძე.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** პირველ რიგში თანადგომა და სოლიდარობა გამოუცხადა მოძმე უკრაინელ ხალხს. უსურვა მშვიდობა და საშინელი სისხლისღვრის უახლოეს პერიოდში დასრულება. ამის შემდეგ მან განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან გარკვეული თანხა უნდა მიიმართოს მედიკამეტების, პროდუქტების და სხვა ნივთების შესაძენად, რათა მოქალაქეების და ბიზნესმენების ჩართულობასთან ერთად მუნიციპალიტეტმაც შეძლებისდაგვარად მიიღოს მონაწილეობა უკრაინელებისთვის ჰუმანიტარული

დახმარების აღმოჩენაში. სხვა მუნიციპალიტეტებისგან განსხვავებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს აქამდე არ ჰქონდა მიღებული სარეზერვო ფონდიდან თანახმად, გარკვეული კუთხით შეზღუდულია ფინანსების მიმართვა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ხდებაზოგიერთი მიმართულებით თანხის გაცემის შესაბამისი წესი, რადგან აქამდე დამტკიცებული წესის წარმოდგენილი პროექტის დაჩქარებული წესით განხილვა, რათა უახლოეს დღეებში განხორციელდეს უკრაინელი ხალხისთვის ჰუმანიტარული დახმარების გაგზავნა. მუნიციპალიტეტის მერიაში გაკეთდა ცხელი ხაზი, რაც ალბათ ასევე ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში იქნება. გაკეთებულია ჩამონათვალი როგორც სამედიცინო კუთხით, ასევე პროდუქტების და სხვადასხვა ნივთებთან დაკავშირებით, რომელთა შეგროვება მოხდება ადმინისტრაციული ერთეულების ოფისებში. შეგროვებული ნივთები დასაწყობდება, დაფასოვდება თანმიმდევრობის მიხედვით და გადაიგზავნება.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი გოგუაძემ** აღნიშნა, რომ ნამდვილად არ არის ჰუმანიტარული დახმარების გაწევის წინააღმდეგი, მაგრამ ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ქმედებებს და განცხადებებს მოყვა შედეგად ის, რომ უკრაინის პრეზიდენტმა ოფიციალურად გაიწვია ელჩი საკონსულტაციოდ. 2008 წლის ომის დროს უკრაინის მოქალაქეები ჩამოვიდნენ მოხალისეებად და მათ მთელი საქართველო მიესალმებოდა. თავის დროზე საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილის მოთხოვნა იყო, რომ საკრებულოს სახელით დამეგობრებულ ქალაქის ხელმძღვანელობისთვის გაეგზავნათ თანადგომის წერილი. მისთვის ცნობილია, რომ მუნიციპალიტეტის მერმა თავისი სახელით გააგზავნა კერძო წერილი, მაგრამ უფრო აჯობებდა, რომ ეს საკრებულოსთან ერთად მომხდარიყო. თვითონ უკვე პირადად ესაუბრა დამეგობრებული ქალაქის ,,ნოვაია კახოვკა“-ს მერს და ხერსონის ვიცე მერს.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის **ემზარ თევდორაძის** თქმით, თითოეულმა მათგანმა თავის მხრივ იცის, თუ რა სახის დახმარება გაწია, მაგრამ ამაზე ხმამაღლა არ საუბრობენ. რაც შეეხება მოხალისეებს, სახელმწიფო არავის არ უშლის წასვლას. ამასთან, თვითონ უკრაინის ელჩი თავის გამოსვლაში ქვეყნის მთავრობას მადლობას უხდიდა თანადგომისა და დახმარებისთვის, მაგრამ ის კი მართლა მიუღებელია, რომ უკრაინის რადას დეპუტატები და საგარეო უწყების წარმომადგენლები ღიად მოუწოდებენ საქართველოს მოსახლეობას საომარ მოქმედებებში ჩარვასთან დაკავშირებით.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** თავის მხრივ აღნიშნა, რომ ამ მოხალისეებმა მოაწყვეს ფოტო და ვიდეო სესია, თითქოს ხელისუფლება არ უშვებს მათ უკრაინაში, რაც აგებული იყო და ემსახურებოდა პოპულიზმს და პიარს, თორემ ვისაც გულით უნდა უკრაინელების გვერდით ბრძოლა, ყველას შეუძლია თავისუფლად წასვლა და ხელს არავინ უშლის.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი გოგუაძემ** დატოვა ბიუროს რიგგარეშე სხდომა.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1)„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 აგვისტოს N35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 2 მარტის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2) მომხსენებლად განსაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ემზარ თევდორაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 8 წევრი.

მომხრე ბიუროს 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

ამით ბიუროს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ემზარ თევდორაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე (მოვალეობის
შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი